თელავის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება

N 425
29/03/2019

425-08-4-201903291646

# სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ვ“ ქვეპუნქტის, $86^1$-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

**1.** შეიქმნას თელავის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

ა) შოთა ნარეკლიშვილი - თელავის მუნიციპალიტეტის მერი - საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) ნათია ქარჩაიძე - საქართველოს ბანკის რეგიონალური მენეჯერი - საბჭოს წევრი;

გ) ნანა ათუაშვილი - ორგანიზაცია ,,World Vision” კახეთის სამხარეო განვითარების პროგრამის მენეჯერი - საბჭოს წევრი;

დ) ნინო პაატაშვილი - საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციის წარმომადგენელი - საბჭოს წევრი;

ე) თენგიზ კუკუნაშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი - საბჭოს წევრი;

ვ) კონსტანტინე დოლიძე - ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი ,,პრესტიჟის“ დირექტორი - საბჭოს წევრი;

ზ) ნიკოლოზ შარვაშიძე - აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის რეგიონალური კოორდინატორი - საბჭოს წევრი;
თ) ასმათ ღვინიაშვილი - ორგანიზაცია ,,World Vision"-ის სოციალური მუშაკი - საბჭოს წევრი;
ი) სოფიკო ტაბატაძე - კოოპერატივი „თაფლიანის " ხელმძღვანელი- საბჭოს წევრი;
კ) დავით ღონღაძე - საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონის" თელავის ოფისის დირექტორი - საბჭოს წევრი;
ლ) ნინო შამანაური - საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონის" თელავის ოფისის სოციალური მუშაკი - საბჭოს წევრი;
მ) ნინო აფციაური - თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - საბჭოს წევრი;
ნ) ნინო ჭიჭიკოშვილი - თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - საბჭოს წევრი.

**2.** დამტკიცდეს თელავის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება დანართის შესაბამისად.

**3.** სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" და წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული დებულებით.

**4.** წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს თელავის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

**5.** ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

**6.** ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქალაქი თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N41).

შოთა ნარეკლიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი

თელავის მუნიციპალიტეტის მერია

# სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება

## მუხლი 1. სამოქალაქო საბჭო და მისი საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო (შემდგომში - საბჭო) არის თელავის მუნიციპალიტეტის მერის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანო, რომლის უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი განსაზღვრულია საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და ამ დებულებით.

## მუხლი 2. საბჭოს საქმიანობის მიზნები და პრინციპები

1. საბჭოს მიზანია თელავის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა და თელავის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში - მერი) საჯარო ფუნქციების წარმატებით შესრულებაში ხელშეწყობა.

2. საბჭოს საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

ა) *გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში საზოგადოების ფართო ჩართულობა;*

ბ) *საჯაროობა;*

გ) *კოლეგიურობა;*

დ) *თანასწორობა;*

ე) *მიუკერძოებლობა;*

ვ) *საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დაცვა.*

## მუხლი 3. საბჭოს უფლებამოსილებები

საბჭო უფლებამოსილია:

ა) განიხილოს და რეკომენდაციები მიაწოდოს მერს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტებთან და მათში ცვლილებებთან დაკავშირებით;

ბ) განიხილოს და რეკომენდაციები მიაწოდოს მერს სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტების პროექტებთან და მათში ცვლილებებთან დაკავშირებით;

გ) წამოაყენოს და განიხილოს მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები;

დ) განიხილოს და რეკომენდაციები მიაწოდოს მერს სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტეთნ დაკავშირებით;

ე) განიხილოს და მოსაზრებები გამოთქვას მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ და სოციალურ პროექტებთან დაკავშირებით;

ვ) განიხილოს და მოსაზრებები გამოთქვას მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ან მისი ცალკეული ჯგუფებისათვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით;

## მუხლი 4. საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭოს შემადგენლობაში შედიან მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები.
2. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 10 წევრით.
3. საბჭოს შემადგენლობაში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.
4. საბჭოს შემადგენლობას ბრძანებით ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი, რომელიც უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს შეიტანოს მასში ცვლილებები.
5. საბჭოს წევრს უფლებამოსილება უწყდება:
   ა) პირადი განცხადებით;
   ბ) მერის ბრძანებით (ბრძანებაში ცვლილების შეტანით);
   გ) საბჭოს სხდომებზე არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 3-ჯერ გამოუცხადებლობის შემთხვევაში.

## მუხლი 5. საბჭოს შექმნა და უფლებამოსილების ვადა

1. საბჭო იქმნება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით - მერის უფლებამოსილების ვადით).
2. საბჭოს შექმნის ან/და მისი შემადგენლობის განახლების შესახებ მერის განზრახვის თაობაზე ინფორმაციას, მერის დავალებით, ავრცელებს მერიის ადმინისტრაციული სამსახური მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის, სოციალური ქსელების, ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების (არსებობის შემთხვევაში) და სხვა ხელმისაწვდომი საშუალებებით.
3. საბჭოს შექმნის ან/და მისი შემადგენლობის განახლების შესახებ მერიის განცხადებაში მითითებული უნდა იყოს საბჭოს მიზნები და საქმიანობის პრინციპები, აგრეთვე, წევრობის მსურველთა მიერ მერიაში განაცხადების წარდგენის ბოლო ვადა.
4. საბჭოს წევრობის კანდიდატების წარდგენის უფლება აქვთ:
   ა)მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს - მერის სახელზე შემოტანილი და იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი განაცხადით;
   ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ მეწარმე იურიდიულ პირებს - მერის სახელზე შემოტანილი და იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი განაცხადით;
   გ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა ჯგუფს - მერის სახელზე შემოტანილი და არანაკლებ 50 მოქალაქის მიერ ხელმოწერილი ერთობლივი განაცხადით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ხელმომწერი პირების სახელი, გვარი, მისამართი

(რეგისტრაციის მიხედვით), ხელმომწერი პირის საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი/ელფოსტა) და ხელმოწერა.

5. მერი განიხილავს საბჭოს წევრობის მსურველთა შემოსულ განაცხადებებს და საკუთარი შეხედულებისამებრ იღებს გადაწყვეტილებას საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ. მერი უფლებამოსილია, საბჭოს შემადგენლობაში დამატებით მოიწვიოს ნებისმიერი პირი.
6. საბჭოს შექმნის ან მისი შემადგენლობის განახლების თაობაზე მერი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს - ბრძანებას, რომელიც ქვეყნდება პროაქტიულად მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. საბჭოს შექმნის ან მისი შემადგენლობის განახლების თაობაზე მერის ბრძანებაში ცვლილებების შეტანა მერს შეუძლია ბრძანებით, ნებისმიერ დროს და ეს არ არის მოქმედი საბჭოს უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი.

## მუხლი 6. საბჭოს მუშაობის წესი

1. საბჭოს სხდომები ტარდება არანაკლებ 3 თვეში ერთხელ. რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება აქვს მერს და საბჭოს შემადგენლობის ½-ს, რისთვისაც მერიის ადმინისტრაციული სამსახური სხდომამდე სულ მცირე 2 დღით ადრე საბჭოს ყველა წევრს წინასწარ უგზავნის ელექტრონულ შეტყობინებას (ელ-ფოსტით ან ტელეფონით მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით).
2. საბჭოს სხდომები როგორც წესი, ტარდება მერიის ადმინისტრაციულ შენობაში და მათი ჩატარების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველოფას ახდენს მერიის ადმინისტრაციული სამსახური. შესაძლებელია საბჭოს გასვლითი სხდომის ჩატარება, რომელზე დასწრების მიზნით საბჭოს წევრების მგზავრობის უზრუნველყოფას ახდენს მერიის შესაბამისი სამსახური.
3. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. საბჭოს სამუშაო ჯგუფის შეხვედრას შეიძლება ესწრებოდეს წევრთა ნებისმიერი რაოდენობა.
4. საბჭოს სხდომას უძღვება საბჭოს თავმჯდომარე, რომლის არყოფნისას სხდომას უძღვება მიმდინარე სხდომის თავმჯდომარედ არჩეული რომელიმე დამსწრე წევრი.
5. საბჭოს შემადგენლობის უმრავლესობით, საბჭოს უფლებამოსილების ვადით, საბჭოს თავმჯდომარედ აირჩევა მისი რომელიმე წევრი ან მერი.
6. საბჭოს თავმჯდომარე წარმართავს საბჭოს მუშაობას სხდომებს შორის პერიოდში, უძღვება სხდომებს, ხელს აწერს სხდომების ოქმებს და საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, იწვევს საბჭოს რიგგარეშე სხდომას და ასრულებს საბჭოს მიერ მასზე დაკისრებულ სხვა მოვალეობებს. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნისას სხდომას უძღვება სხდომის თავმჯდომარედ სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით არჩეული რომელიმე წევრი.
7. საბჭოს სხდომები ღია და საჯაროა, მათზე დასწრების უფლება აქვს ნებისმიერ პირს. სხდომაზე დამსწრე მოქალაქეებს, სხდომის თავმჯდომარის თანხმობით, აქვთ განსახილველ საკითხზე საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება.
8. საჭიროების შემთხვევაში საბჭოს სხდომისათვის საკითხის მოსამზადებლად ან სამუშაო ჯგუფში მონაწილეობისათვის შესაძლებელია მოწვეულ იქნან ექსპერტ(ებ)ი ან კონსულტანტ(ებ)ი.
9. საბჭოს გადაწყვეტილებები (რეკომენდაციები და განცხადებები) მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, ღია ან ფარული კენჭისყრით. პერსონალურ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება ხდება მხოლოდ ფარული კენჭისყრით.

10. საბჭოს გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით. საბჭოს გადაწყვეტილებები (რეკომენდაციები და განცხადებები) სხდომის ოქმს თან ერთვის დანართების სახით. საბჭოს სხდომის ოქმებში აუცილებლად აისახება დამსწრეთა მიერ გამოთქმული ალტერნატიული მოსაზრებები.
11. ოქმს ადგენს საბჭოს მდივანი და ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე ან სხდომის თავმჯდომარე. საბჭოს მდივანი შეიძლება იყოს მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფლებამოსილი საჯარო მოხელე, რომელსაც ამ ფუნქციას განუსაზღვრავს შესაბამისი სამსახურის უფროსი.
12. საბჭოს სხდომების ოქმები, მათი ხელმოწერისთანავე, ელექტრონული სახით მიეწოდება მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს, რომელიც ოქმებს (დანართებით) პროაქტიულად აქვეყნებს მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე, სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში.
13. მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდისა და Facebook-გვერდის მეშვეობით ავრცელებს ინფორმაციას საბჭოს სხდომისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ, მათზე განხილული საკითხებისა და გამოთქმული მოსაზრებების მოკლე შინაარსის გადმოცემით და შესაძლებლობის შემთხვევაში, შესაბამისი ფოტო/ვიდეო მასალების დართვით, აგრეთვე, აწვდის ამ ინფორმაციას ადგილობრივ მედია-საშუალებებს.

შოთა ნარეკლიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი

თელავის მუნიციპალიტეტის მერია